## მიმართვა ვენეციის კომისიას
## საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის ცვლილებასთან დაკავშირებით

*„კოალიცია თანასწორობისთვის“ წარმოადგენს საქართველოში დაფუძნებულ ადამიანის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა არაფორმალურ გაერთიანებას, რომელიც 2014 წლიდან სისტემურად ახორციელებს ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგსა და სახელმწიფოს მიერ თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპის შესრულებაზე ზედამხედველობას.*

*კოალიციის წევრი ორგანიზაციები არიან: ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“; ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC); საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA); პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR); კავშირი „საფარი“; ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG); იდენტობა; კონსტიტუციის 42–ე მუხლი (Article 42).*

„კოალიცია თანასწორობისთვის“ წევრ ორგანიზაციებს გვსურს გამოვეხმაუროთ საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტის 30-ე მუხლს, რომელიც ქორწინების ახალ სამართლებრივ დეფინიციას განსაზღვრავს და უფლების შინაარს ზღუდავს.

საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებულ ცვლილებათა პაკეტში კონსტიტუციის 36-ე მუხლი, რომელიც ქორწინებას მეუღლეთა თანასწორუფლებიანობასა და ნებაყოფლობაზე აფუძნებს და მეუღლეთა სქესის შესახებ ექსპლიციტურ მითითებას არ შეიცავს, იცვლება შემდეგი ახალი ჩანაწერით: ***„ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა თანასწორობასა და ნებაყოფლობას“ (მუხლი 30. ქორწინების უფლება).***

**შესავალი**

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის მიზნით, 2016 წლის ბოლოს საკონსტიტუციო კომისია შეიქმნა და მან ფორსირებული განხილვების შემდეგ, 2017 წლის 22 აპრილს კონსტიტუციის ცვლილებათა პროექტი დაამტკიცა. „კოალიცია თანასწორობისთვის“ მიესალმება ცვლილებათა პაკეტში გათვალისწინებულ ზოგიერთ პოზიტიურ ცვლილებას, თუმცა აქვე შეშფოთებას გამოხატავს ადამიანის უფლებების შემზღუდავი ჩანაწერების გამო, რომელიც აურესებს ცალკეული ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობას და ზღუდავს ცალკეული უფლებ(ებ)ის შინაარსსა და ფარგლებს.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო კომისია დაჩქარებული პროცედურით შეიქმნა და  თავიდანვე პრობლემური იყო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა. კომისიამ განხილვების სამი ეტაპი/მოსმენა გაიარა, თუმცა გადაწყვეტილების მიღების წესი თავიდანვე მკაფიოდ ჩამოყალიბებული არ იყო. კონსტიტუციაში ცვლილებების ინიცირება რელევანტურ აქტორებთან სათანადო კონსულტაციის გარეშე განხორციელდა და ნაკლებად მოხერხდა საზოგადოებაში და ცალკეულ ჯგუფებში არსებული მოთხოვნებისა და საჭიროებების ასახვა. ზოგიერთი საკითხის ინიცირება კი ცალსახად პოლიტიკური მიზნებისთვის განხორციელდა და ადამიანის უფლებების ინსტრუმენტალიზების შესახებ ეჭვები გააჩინა.

წინამდებარე მიმართვაში გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ საქართველოს კონსტიტუციაში ქორწინების ცნების ამსახველი ნორმის ცვლილების პროექტზე. როგორც თქვენთვის ცნობილია, დღეს მოქმედი კონსტიტუციის 36-ე მუხლი ქორწინებას მეუღლეთა თანასწორუფლებიანობასა და ნებაყოფლობაზე აფუძნებს, მეუღლეთა სქესის ექსპლიციტიური მითითების გარეშე. მიუხედავად უზენაესი კანონის ამგვარი დანაწესისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი ქორწინებას მხოლოდ ქალისა და კაცის კავშირად განიხილავს, რითაც გამორიცხავს ერთი და იმავე სქესის ადამიანების თანაცხოვრების სამართლებრივ რეგულირებას ქორწინების სახით. ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს და არ აღიარებს სამოქალაქო პარტნიორობის/სამოქალაქო ერთობის ცნებებს/ინსტიტუტს, რითაც არსებული სამართლებრივი სისტემა სრულიად გამორიცხავს ერთი და იმავე სქესის მქონე ადამიანთა ურთიერთობას სამართლებრივი რეგულირებისგან. ერთი და იმავე სქესის ადამიანთა ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მიღმა დატოვება ლგბტქი თემის წევრებს უთანასწორო პირობებში ამყოფებს ჰეტეროსექსუალ წყვილებთან შედარებით, რაც მათ ხელს უშლით ისარგებლონ მთელი რიგი პირადი, ქონებრივი და სამოქალაქო უფლებებითა და ქორწინებასთან დაკავშირებული სოციალური ბენეფიტებით, მათ შორის: მემკვიდრეობის უფლებით, რომელიც კანონით მემკვიდრეობას მხოლოდ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს აკუთვნებს; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მხოლოდ მეუღლისა და ოჯახის წევრისთვის ითვალისწინებს მთელ რიგ საგამონაკლისო შემთხვევებს მათ შორის: ჩვენების მიცემის იძულების აკრძალვას, მოწმედ ყოფნაზე უარის თქმის უფლებას, სახელმწიფოს მიერ ოჯახის წევრისთვის პირის დაკავების შესახებ შეტყობინების ვალდებულებას, დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების ვალდებულებას; პენიტენციურ დაწესებულებაში გრძელვადიანი პაემნის უფლება ასევე მხოლოდ მეუღლის ან თანაცხოვრებაში მყოფი პირის უფლებაა; სამედიცინო სფეროში პაციენტის ნათესავის უპირატესი უფლება – მონაწილეობა მიიღოს პირის სამედიცინო დახმარების აღმოჩენასთან ან მის სიკვდილთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, ასევე არ ვრცელდება არაჰეტეროსექსუალ პარტნიორებზე.

არსებული კანონმდებლობის ისედაც დისკრიმინაციული და შემზღუდავი ხასიათის გამო, ხელისუფლება ვერ ახერხებს 36-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების სამართლებრივი აუცილებლობის დასაბუთებას და მას მხოლოდ პოლიტიკური არგუმენტებით ხსნის (მათ შორის, ანტირუსული ჯგუფების მხრიდან ლგბტქი საკითხების ინსტრუმენტალიზების შემცირება, ოკუპირებული რეგიონებისთვის პოლიტიკური გზავნილის გაგზავნა, რომ ხელისუფლება ტრადიციულ ღირებულებებს იცავს[1]). ცხადია, კონკრეტული ჯგუფის უფლებების პოლიტიკური მიზნებისთვის ინსტრუმენტალიზება სახიფათო პროცესია და წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სამართლებრივი სახელმწიფოს იდეასთან. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო კომისიას საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჯგუფმა მიმართა და 36-ე მუხლის ცვლილების პირობებში მოსთხოვა, თანაცხოვრობის სხვა ფორმების კანონით რეგულირების შესახებ კონსტიტუციაში ჩანაწერის გათვალისწინება, რაც კომისიამ არ გაითვალისწინა.[2]

**პოლიტიკური კონტექსტის მიმოხილვა**

ქორწინების შესახებ საქართველოს კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერის ცვლილების საკითხი საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში რამდენჯერმე დადგა და როგორც წესი, ის წინასაარჩევნოდ წარმოებული კამპანიის ნაწილი ხდებოდა. 2016 წელს საქართველოს ხელისუფლებამ და სხვადასხვა პოლიტიკურმა გუნდმა რამდენიმე მეთოდით სცადა საქართველოს კონსტიტუციაში ქორწინებასთან

---

[1] The statement of Zakaria Kutsnashvili (Georgian Dream): "we are sending the message that Georgian will never be the country of homosexuals", see only in Georgian: http://www.tabula.ge/ge/verbatim/119649-qucnashvili-qortsinebaze-gzavnils-vushvebt-saqartvelo-ar-gaxdeba-cisferebis-qvekana

[2] Statement of CSOs, available at: https://emc.org.ge/2017/04/10/emc-247/

დაკავშირებული ცვლილება განეხორციელებინა. მათ შორის, 80 დეპუტატის ხელმოწერილი კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომლის მიზანი განმარტებითი ბარათის თანახმად, კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის „უფრო მკაფიო ფორმულირება“ იყო, რათა მოეხსნა „ამ ნორმის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული კითხვები და წუხილები საზოგადოების დიდ ნაწილში.”[3] 28 მარტს კი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა საინიციატივო ჯგუფის მიერ სარეფერენდუმოდ წარმოდგენილი საკითხი – „გინდათ თუ არა, რომ ერთნაირ სქესიანთა ქორწინება დაშვებულ იქნას საქართველოში?“[4]

აღნიშნულ პროცესებს წინ უსწრებდა 2016 წლის 27 იანვარს მოქალაქე გ. ტატიშვილის მიერ შეტანილი სარჩელი, რომლითაც მან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ, რომელიც ქორწინებას მხოლოდ ქალსა და კაცს შორის აღიარებს და გამორიცხავს ლგბტქი თემის წევრებისთვის ამ უფლებით სარგებლობას,[5] თუმცა სარჩელის შინაარსი არსებითად ხარვეზული და წინააღმდეგობრივი იყო.[6] აღნიშნული სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითი განხილვისთვის არ მიიღო მისი აშკარა დაუსაბუთებულობის გამო, თუმცა ქორწინების ექსკლუზიური ხასიათით გამოწვეული დისკრიმინაცია სასამართლომ 36-ე მუხლის ნაცვლად, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ამოიკითხა.[7] ნიშანდობლივია, რომ საკონსტიტუციო სარჩელის წარდგენა სასამართლოს წინაშე სწორედ აღნიშნული საკითხების ისნტრუმენტალიზების ფონზე უნდა იქნას დანახული, როგორც პროვოკაციული ნაბიჯი, რომელმაც გააძლიერა ანტი-გენდერული ჯგუფების პოზიციები ლგბტ თემის მხრიდან მომდინარე საფრთხეებზე, მათ მიერ ქორწინების უფლების მოთხოვნის დადასტურების მიზნით.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს საკონსტიტუციო ცვლილება არ განხორციელებულა, ხოლო რეფერენდუმის დანიშვნა პრეზიდენტის გადაწყვეტილებით უარყოფილი იქნა, მმართველმა პოლიტიკურმა გუნდმა, საზოგადოებას დაპირება მისცა აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილების უპირობო განხორციელებაზე.[8] ხაზგასასმელია, რომ მიმდინარე წელს აღნიშნული ინიციატივის ირგვლივ წარმოებულმა დისკუსიებმა არსებითად შეუწყო ხელი სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან ჰომო/ტრანსფობიური სიძულვილის ენის საჯარო ტირაჟირებას[9] და არაპირდაპირ წაახალისა ლგბტქი თემის წინააღმდეგ ძალადობრივი პრაქტიკები.[10] კოალიცია თანასწორობისთვის წევრი ორგანიზაციების მიერ 2016 წელს სექსუალური ორიენტაციისა და

---

[3] See only in Georgian: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/43955/07-3.548 .

[4] See only in Georgian: http://liberali.ge/news/view/23201/tseskom-qortsinebis-ganmartebis-shesakheb-sareferendumo-sakitkhi-daaregistrira.

[5] The Constitutional Complaint N714 can be found only in Georgian here: http://constcourt.ge/ge/news/28-ianvars-8-tebervals-shemosuli-sarchelebi.page

[6] It is important to note that LGBT organizations and activists created a boundary with the mentioned complaint and its author. They have outlined that, “This initiative by Giorgi Tatishvili is provocative and is oriented towards harming LGBT persons, not protecting their rights…We think that behind this complaint, initiated by Tatishvili, are standing pro-Russian political or religious forces that are known for their anti-LGBT rhetoric and want to start and/or strengthen the feeling of threat among society towards LGBT persons.” See only in Georgian: http://www.women.ge

[7] Constitutional court ruling on December 29, 2016 regarding the case “Citizen of Georgia Giorgi Tatishvili against the Parliament of Georgia.” See only in Georgian: http://constcourt.ge/ge/legal-acts/rulings/2-11-saqartvelos-moqalaqe-giorgi-tatishvili-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg.page.

[8] Statement of Prime-Minister, Giorgi Kvirikashvili, see: http://www.netgazeti.ge/news/136544/ , Also, see statement of Chairman of Parliament of Georgia – Irakli Kobakhidze, see only Georgia: http://www.epn.ge/?id=44462

[9] MDF, Hate Speech, 2016, see: http:/www.mdfgeorgia.ge/geo/view/-library/55/

[10] Coalition for Equality “The right of protection from discrimination for different groups in Georgia”, Report for 2016 year, pg. 22-29

გენდერული იდენტობის საფუძველზე 40-მდე საქმის დოკუმენტირება მოხდა,[11] მათ შორის ტრანსგენდერი ქალის სასტიკი მკვლელობის ფაქტი. [12]

ყურადსაღებია, რომ ლგბტქი თემისა და ორგანიზაციების მიერ ქორწინების თანასწორობის საკითხი საქართველოს სამართლებრივ და პოლიტიკურ დღის წესრიგში არასდროს ყოფილა დაყენებული. სოციალურ და პოლიტიკურ სისტემაში არსებული ინსტიტუციური ჰომოფობიის პირობებში, ლგბტქი პირები განდევნილი არიან საჯარო სივრცეებიდან და ხდებიან დისკრიმინაციისა და სისტემური ძალადობის მსხვერპლი, რაც მათ ხელს უშლით ისარგებლონ მათთვის კონსტიტუციით გარანტირებული ძირეული უფლებებით. აღნიშნული ძალადობრივი სისტემის ლეგიტიმაციას კი ხელს უწყობს ლგბტქი პირთა მიმართ არსებული სახელმწიფოს მხრიდან იგნორირების პოლიტიკა და არაეფექტური ბრძოლა ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულებისა და უფლებათა დარღვევის პრაქტიკების მიმართ.[13] ამ დრომდე არ არიან დასჯილი 2013 წლის 17 მაისს (IDAHOT) მშვიდობიანი შეკრების ხელშეშლაში/ძალადობრივ ქმედებებში მონაწილე კონტრდემონტრანტები. ამასთან, არ ხდება ECHR-ის გადაწყვეტილების - Identoba and others v. Georgia, პრაქტიკაში ეფექტური აღსრულება და ლგბტქი თემისათვის გარანტირებული შეკრებისა და გამოხატვის უფლებების უზრუნველყოფა. ამ პირობებში, ქორწინების უფლება საქართველოში მცხოვრები ლგბტქი ადამიანების უმეტესობისთვის და ლგბტქი ჯგუფთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების დღის წესრიგში არ დგას.[14] აღნიშნულ პირობებში ნათლად ჩანს ხელისუფლების მიერ ქორწინების საკითხის ხელოვნურად აქტუალიზების მცდელობები.

ზემოხსენებული კონტექსტის გათვალისწინებით, კოალიცია გამოთქვამს შიშს, რომ სახალხო განხილვების ფარგლებში ქორწინებასთან დაკავშირებული ცვლილების განხილვა პოლიტიკური და სოციალური ჯგუფების მხრიდან ჰომო/ბი/ტრანსფობიური რიტორიკის ტირაჟირებას წაახალისებს, რაც სერიოზულად დააზიანებს ლგბტქი პირთა უსაფრთხოებასა და უფლებრივ მდგომარეობას.

**სამართლებრივი შეფასებები**

ვენეციის კომისიის მიხედვით, კონსტიტუციური ნორმები, რომელიც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს შეეხება, პრინციპული მნიშვნელობისაა და იგი ღია უნდა იყოს დებატებისა და ცვლილებებისთვის. თუმცა ამ ცვლილებებმა არ უნდა შეასუსტოს იმ ნორმების ფუნქციურობა, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს უმცირესობათა უფლებებისა და ინტერესების დაცვას უმრავლესობის ტირანიის საწინააღმდეგოდ.[15] ადამიანის უფლებების შეზღუდვის უპირობო გამართლება წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციონალიზმის და ადამიანის უფლებათა დაცვის კონცეფციასთან. ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების მცდელობა კი არსებითად აფერხებს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისა და ადამიანის უფლებების დაცვისა და მარგინალიზებული ჯგუფების ემანსიპაციის პროცესს. ამ საკითხთან დაკავშირებით, ვენეციის კომისია ცალსახად აღნიშნავს, რომ კონსტიტუცია უნდა იდგეს „ყოფითი პოლიტიკისგან“ მაღლა, ის უნდა გვევლინებოდეს პოლიტიკური ქმედებების ჩარჩოდ და არ უნდა იქცეს მის ინსტრუმენტად.[16]
მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ ადგენს კონსტიტუციის გადახედვის პირობების ლიმიტაციებს, ვენეციის კომისია 2015 წლის დოკუმენტში აღნიშნავს, რომ საქართველოს

---

[11] Ibid
[12] Coalition for Equality, statement, available at: https://emc.org.ge/2016/11/10/emc-180/
[13] “Legal Situation of LGBTI persons in Georgia”, EMC, 2016, see: https://emc.org.ge/2016/06/03/emc-78/
[14] Statement of LGBT/Queer organizations, see: www.women.ge
[15] Venice Commission) Report On Constitutional Amendment, Adopted By The Venice Commission At Its 81st Plenary Session, (Venice, 11-12 December 2009), para. 177
[16] (Venice Commission) Report On Constitutional Amendment, Adopted By The Venice Commission At Its 81st Plenary Session (Venice, 11-12 December 2009), para. 75

კონსტიტუციის მე-14 მუხლი (თანასწორობის უფლება) შეიცავს ისეთ შინაარსს, რომელსაც „შეუძლია შეზღუდოს კონსტიტუციაში იმ ცვლილების შეტანის საკითხი, რომლის მიზანი იქნებოდა ადამიანის კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების […] შეზღუდვა."[17] კონსტიტუციური ცვლილების შეზღუდულობა უნდა აიხსნას თავად დემოკრატიის დაცვისა და უმრავლესობის გაბატონების დაზღვევის ინტერესით, რომელიც გამორიცხავს დემოკრატიის გვერდის ავლით გადაწყვეტილებების მიღებას.

ვენეციის კომისიამ უნგრეთის ფუნდამენტური კანონის შესახებ მოსაზრებაში მიუთითა, რომ კონსტიტუციის მიღებისა და აღსრულების პროცესი უნდა არწმუნებდეს საზოგადოებას, რომ დოკუმენტი მისი ბუნებით, სტაბილურ კანონს წარმოადგენს, რომელიც არ ექვემდებარება უმრავლესობის სურვილზე დაფუძნებულ მარტივ ცვლილებას. კონსტიტუციის მუდმივობა არ უნდა ეფუძნებოდეს არითმეტიკულ მოცემულობებს, რომელიც გამომდინარეობს მმართველი და ოპოზიციური პარტიების რაოდენობრივი სიძლიერიდან. კონსტიტუციური და ყოფითი პოლიტიკა მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან, რადგანაც კონსტიტუცია არ არის „პოლიტიკური თამაშის" ნაწილი, არამედ ამ თამაშში მომწესრიგებელი წესების ერთობაა.[18]

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოები არ არიან ვალდებული ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის ქორწინების თანასწორობა უზრუნველყონ. თუმცა, გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს სამართლებრივად აღიარონ ერთი და იმავე სქესის მქონე ადამიანთა ურთიერთობები[19]. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის ოფისის 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული ურთიერთობების ოფიციალურად არაღიარება და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის აღუსრულებლობა ხელს უწყობს ლგბტქი წყვილების მარგინალიზაციას, არასათანადო და განსხვავებულ მოპყრობას კერძო პირების, ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლებისა და სადაზღვევო კომპანიების მხრიდან[20].

მნიშნელოვანია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გაეროს მიდგომას იზიარებს და ერთი და იგივე სქესის წყვილების პარტნიორული ცხოვრების სამართლებრივ არაღიარებას ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობა) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევად განიხილავს. საქმეზე Schalk and Kopf v. Austria ევროპული სასამართლო ცალსახად უთითებს, რომ "ერთი და იგივე სქესის წყვილებს ისევე შეუძლიათ სტაბილური ურთიერთობა ჰქონდეთ, როგორც საწინააღმდეგო სქესის ადამიანებს. ისინი საწინააღდმეგო სქესის მქონე წყვილების მსგავსი არიან, რაც იმავე საჭიროებებს გულისხმობს – მათი ურთიერთობები სამართლებრივად იქნას აღიარებული და დაცული". აღნიშნული შეფასების კიდევ ერთ დემონსტრაციას წარმოადგენს, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Vallianatos and Others v. Greece საქმეზე, სადაც სასამართლო ერთმნიშვნელოვნად კრიტიკულია სახელმწიფოებში ლგბტქი პირებისათვის „რეგისტრირებული პარტნიორობის" არარსებობის მიმართ. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე Oliari and others v. Italy, სახელმწიფოში ერთი სქესის ადამიანების ურთიერთობების სამართლებრივად აღმჭურველი მექანიზმის არარსებობის გამო კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა. შესაბამისად, ქორწინების აღიარების საკითხის მიღმა, საქართველოს ხელისუფლებას ერთი და იმავე სქესის წყვილებს შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობების (მათ შორის, მემკვიდრეობითი, ქონებრივი, სხვა პირადი და არქონებრივი ურთიერთობები) მოწესრიგებისა და მათ მიმართ თანაბარი სამართლებრივი რეჟიმის გამოყენების ვალდებულება ეკისრება. ეს საკითხი ასევე აღინიშნა ვენეციის კომისიის მოსაზრებაში სომხეთის საკონსტიტუციო

[17] (Venice Commission) Compilation Of Venice Commission Opinions Concerning Constitutional Provisions For Amending The Constitution, Strasbourge, 2015. Para.112
[18] CDL-AD(2013)012 Opinion On The Fourth Amendment To The Fundamental Law Of Hungary, para. 137
[19] E/C.12/BGR/CO/4-5, para. 17; E/C.12/SVK/CO/2, para. 10
[20] A/HRC/29/23, para. 68

რეფორმებთან დაკავშირებით, სადაც მითითებულია, რომ ქორწინების თავისუფლებისა და მეუღლეთა თანასწორობის დამდგენი მუხლები არ უნდა იყოს იმგვარად ინტერპრეტირებული, რომ გამორიცხოს ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა კავშირის სამართლებრივი აღიარების დაწესება.[21]

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში ქორწინების თანასწორობის აღიარების კუთხით სახელმწიფოებს ფართო დისკრეცია რჩებათ, ადამიანის უფლებათა სამართალი სახელმწიფოებს ავალდებულებს აღიარონ და სამართლებრივად მოაწესრიგონ ერთი და იმავე სქესის წყვილებს შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობები და კონსტიტუციაში არ განახორციელონ ისეთი შემზღუდავი დათქმები, რომელიც მსგავს შესაძლებლობას გამორიცხავს.

**დასკვნა/მოთხოვნა**

იმ პირობებში, როდესაც საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო არ მოიცავს ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის პარტნიორული და სხვა პირადი და ქონებრივი უფლებების სამართლებრივად აღჭურვის შესაძლებლობებს, შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებათა პროექტი, რომელიც კონსტიტუციაში ქორწინების არაშეზღუდული დეფინიციის გაუქმებასა და დავიწროებას ისახავს მიზნად, უნდა შეფასდეს, როგორც კონსტიტუციური სტანდარტებისა და ლგბტქი ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესების მცდელობა.

მივიჩნევთ, რომ პოლიტიკური ინტერესებით კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვა და მომავალში უფლების აღიარების რესურსის განადგურება გაუმართლებელია. ცალსახაა, აღნიშნული ინიციატივა მიზანმიმართულია ლგბტქი ადამიანების უფლებათა არაღიარებასა და ერთი და იმავე სქესის ადამიანების პარტნიორული ურთიერთობის დაცვის აკრძალვისკენ. მაშინ, როდესაც დემოკრატიული სახელმწიფოები წინ მიიწევენ ლგბტქი წყვილთა პარტნიორული ურთიერთობის სამართლებრივი აღიარებისა და სოციალური მიმღებლობის განვითარებისკენ, საქართველოს მხრიდან აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილების მიღება, ემსახურება დამატებითი შეზღუდვების, აკრძალვებისა და დისკრიმინაციის გამყარებას ლგბტქი ადამიანთა მიმართ.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, რათა მოუწოდოთ საქართველოს ხელისუფლებას და საკონსტიტუციო კომისიას არ დაუშვან კონსტიტუციაში ქორწინების შესახებ ჩანაწერის დავიწროება და პროექტში გათვალისწინებული ცვლილების განხორციელება ადამიანის უფლებების ფუნდამენტური ღირებულებების საპიროსპიროდ.**

**ამასთან, არსებითია, საქართველოს მთავრობას მიეთითოს, პარტნიორებს შორის სხვა სახის თანაცხოვრების ფორმების კონსტიტუციასა და სხვა საკანონმდებლო აქტებში აღიარებისა და მოწესრიგების აუცილებლობის შესახებ, როგორც თანასწორობის კონსტიტუციური ნორმა-პრინციპი და როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული მექანიზმების მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის მოთხოვნა.**

[21] Venice Commission, First Opinion On The Draft Amendments To The Constitution (Chapters 1 To 7 And 10) Of The Republic Of Armenia, Strasbourg, 29 October 2015, Opinion no. 757/2014, See: http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2015)037-e